ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 11

ქალაქი ქუთაისი 30 ოქტომბერი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,
ამირან კოპალეიშვილის არჩევის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის, 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლის მე-2, მე-3 პუნქტების, 96-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-100 მუხლისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე:

მუხლი 1. არჩეულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ამირან კოპალეიშვილი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ვადით.

(„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევნების ფარული კენჭისყრის შედეგების შეჯამების შესახებ“ საკრებულოს ხმისდამთვლელი დროებითი კომისიის სხდომის ოქმი №4 წინამდებარე განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ამირან კოპალეიშვილის თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილისათვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს განაკვეთის ოდენობით.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ გიორგი ჭილვარი

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
გას. №---11---
„3“ ---11---2025 წ.